



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

საკონტაქტო პირი: ქეთევან გოლეტიანი, დეკანი
 ტელ.: 579080708 , ელ-ფოსტა: k.goletiani@bntu.edu.ge

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მოკლე აღწერილობა:

პროგრამის სახელწოდება:	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა
მიმართულება:	ინჟინერია - 04
სპეციალობა:	ტრანსპორტი - 0407
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ტრანსპორტის ბაკალავრი
Bachelor of Transport	
უმაღლესი განათლების საფეხური:	I საფეხური, ბაკალავრიატი
სწავლების ენა:	ქართული
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	240

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით).

პროგრამის მიზნები: მომზადდეს საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც აქვს თანამედროვე ტრანსპორტის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა, გაცნობიერებული აქვს პროფესიის და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა, გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებით შეძლებენ სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზებას, დაგეგმვასა და მართვას, ტრანსპორტის სხვადასხვა დარგში წარმოქმნილი პრობლემების გაგებას, ანალიზს, შეფასებას, კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და გადაწყვეტას; ასევე, პროგრამის მიზანია ისეთი

კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.

სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება <i>სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.</i></p>	<p><i>კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროსთვის დამახასიათებელი ასპექტების თეორიული საფუძვლები, თავისებურებები და ურთიერთკავშირები; • მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური რუკა; ცნება ბუნებრივი პირობებისა და რესურსების შესახებ; • სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მართვის, გადაზიდვების ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი ელემენტები; ტრანსპორტის სახეობები და მათი ურთიერთქმედება, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის საწარმოთა მოწყობილობა და მეურნეობა, სატრანსპორტო სისტემების მართვის პრინციპები; • ტვირთების კლასიფიკაცია, გამოკვლევის მეთოდები, ტარისა და შეფუთვის სტანდარტიზაცია, ტვირთების მარკირება; ჩასასხმელი, ნაყარი და გენერალური ტვირთებისა და აირების სატრანსპორტო მახასიათებლები და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; ტვირთების სპეციფიკური თვისებები. ტვირთების უსაფრთხოდ გადატანის წესების დაცვის აუცილებლობა. • ტრანსპორტის მართვის ორგანიზაციის ფუნქციები და მეთოდები; • ლოგისტიკის ძირითადი პრინციპები, კონცეფციები და სისტემები; • კონკრეტული გადაზიდვებისათვის სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შერჩევის კრიტერიუმები. სასაწყობო საქმიანობის ძირითადი ცნებები • სატრანსპორტო, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების და სხვა თანხმლები დოკუმენტაციის სახეები; • სარკინიგზო ტრანსპორტზე ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციის პრინციპები, შერეული და საერთაშორისო გადაზიდვების არსი, სატვირთო გადაზიდვებისა და კომერციული საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის პრინციპები; საექსპლუატაციო პროცედურები; სატრანსპორტო დოკუმენტების წარმოების წესები; • გემების კლასიფიკაცია და ტიპები მათი დანიშნულების მიხედვით, გემების კონსტრუქციები, საზღვაო გემის სათავსოების დანიშნულება და განლაგება, საზღვაო პორტის მართვის პრინციპები; • საავტომობილო პარკის ფორმირების პრინციპები, მუშაობის საზომები, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციო თვისებები, საავტომობილო პარკის ფორმირების საფუძვლები, მოძრაობის უსაფრთხოების თანამედროვე ასპექტები; • საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის ორგანიზების პრინციპები, მგზავრთა მომსახურების პრინციპული ტექნოლოგიური სქემები; • მუნიციპალური ტრანსპორტის განაწილების სქემები და არხები, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ფუნქციები, საქალაქო სატრანსპორტო ქსელების გამტარუნარიანობის ამაღლების მეთოდები, ქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო გადაადგილების ფორმირების მეთოდები; • ტვირთის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის ძირითადი პირობები; ტვირთის დაზღვევა, ტვირთის გადაზიდვისა და ადგილზე მიტანის პასუხისმგებლობა; INCOTERMS - International Commercial Terms – მყიდველისა და გამყიდველის მოვალეობები; სატრანსპორტო პირობები; ექსპორტი-იმპორტის გადაზიდვების კომერციული დოკუმენტაცია; კონოსამენტი; სატვირთო მანიფესტი; BIMCO-ს პროფორმის დოკუმენტაცია; გენერალური ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის თავისებურებანი; საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების სახეები; სარეისო ჩარტერის კომერციული პირობები; გემების არენდა; გემის მენეჯმენტის ორგანიზაციის პრინციპები; • ტვირთაწე მანქანების საერთო კვანძებისა და მექანიზმების სქემები და კლასიფიკაცია, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციათა წარმოების მექანიზმული სისტემები და ამწე-სატრანსპორტო მანქანების გადატვირთვის, დასაწყობების და ტრანსპორტირების ტექნოლოგიური სქემები; • ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვების ორგანიზაციის პრინციპები, ტარიფების სტრუქტურა ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვებისას; • ეკოლოგიური საქმიანობის მართვის პრინციპები და მეთოდები ტრანსპორტზე, ეკოლოგიური უსაფრთხოების თანამედროვე ასპექტები, • სატრანსპორტო კომპანიებში უსაფრთხოების წესები, მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის უსაფრთხო პირობები, შრომის ჰიგიენა და საწარმოო ესთეტიკის საფუძვლები; • გემების აგენტირება, აგენტის ნომინირება, აგენტის სახეები; პორტში გემის შესვლის პირობები; გემების სტივიდორული მომსახურების
---	--

	<p>ნორმები; გემის სურსათით მომარაგების ორგანიზაციის ძირითადი პირობები; კლასიფიკაციური საზოგადოების ფუნქცია; ბუნკერების ორგანიზაციის პროცედურები;</p> <ul style="list-style-type: none"> • საზღვაო დაზღვევის სპეციფიკის ასპექტები. საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების უფლებები და მოვალეობები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი <i>სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</i></p>	<p><i>კურსდამთავრებულს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • სატრანსპორტო ნაკადების დაგეგმვა და გადაზიდვების ორგანიზება; • ტვირთების მარკირება, დამაგრება, ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და მასა-მოცულობითი მახასიათებლების შეფასება, სატრანსპორტო საშუალების, მარშრუტის შერჩევა და გადაზიდვის უზრუნველყოფა. ტვირთების შენახვა, დასაწყობება და განთავსება სპეციალური პირობების გათვალისწინებით. დაუზიანებლობის მთლიანობის უზრუნველყოფა; სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შემოწმება-მომზადება. საერთაშორისო რეგულაციების, სტანდარტების, კოდექსებისა და რეკომენდაციები სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ ცოდნის გამოყენება, სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს საერთაშორისო მოთხოვნების გამოყენება; • მატერიალური ნაკადების დაგეგმვა, მართვა, კოორდინაცია და კონტროლი. ლოგისტიკური სისტემების კლასიფიკაცია; • სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემების რეჟიმების განსაზღვრა, ოპტიმიზაცია და მეთოდების პრაქტიკული გამოყენება; • სატრანსპორტო და სხვა თანხმლები დოკუმენტაციის, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმება; • სარკინიგზო ტრანსპორტზე ტექნოლოგიური პროცესების მართვა (მანევრირება, მატარებელთა ფორმირება, სადგურის მუშაობის აღრიცხვა, სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზება), კომერციული საქმიანობის ორგანიზება (სატვირთო საბუთების გაფორმება, ზედნადების შემოწმება და ვიზირება, გადასაზიდი ტვირთის მასის განსაზღვრა და ტრანსპორტირების თანხის გაანგარიშება, სარევიზიო სამუშაოების წარმოება); • საავტომობილო ტრანსპორტზე გადაზიდვების ორგანიზება (მარშრუტის დაგეგმვა, Packer 3D პროგრამის გამოყენებით სატვირთო გეგმის შედგენა სატრანსპორტო მუშაობისა და მწარმოებლურობის განსაზღვრა); • საჰაერო ტრანსპორტზე გადაზიდვების ორგანიზება (მარშრუტის შერჩევა, საავიაციო გადაზიდვის ღირებულების გამოთვლა, კომერციული დოკუმენტების წარმოება); • საზღვაო ტრანსპორტზე გადაზიდვების ორგანიზება (დატვირთვა-გადატვირთვის პროცესების ტექნოლოგიური რუკების შედგენა; სხვადასხვა ტვირთებთან სატვირთო სამუშაოების წარმოება, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დაგეგმვა, გადამტვირთავი კომპლექსის დაგეგმარება). კომერციული საქმიანობის წარმოება (ტვირთის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის გაფორმება და შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება, სტალიის გათვლა, დისპაჩის და დემირიჯის გადახდა, კონტრაქტის დოკუმენტაციის შეგროვება, სახაზო გემთსვლის ორგანიზაცია, რეისის დროის და ფრახტის გათვლები, სტალიის დროს გათვლა ჩარტერის მიხედვით, გემის პორტში შესვლისა და გამოსვლის გაფორმება); • სამგზავრო გადაზიდვების დაგეგმვა, ორგანიზება და პროცესების მართვა (საქალაქო სატრანსპორტო ქსელის ოპტიმალური სიმჭიდროვის და გამტარუნარიანობის განსაზღვრა, მგზავრთნაკადების გამოთვლა, PTV VISSIM; PRV VISSUM პროგრამებით საქალაქო სატრანსპორტო სქემის მათემატიკური და იმიტაციური მოდელირება); • ტვირთების ექსპედიტორების პრაქტიკაში გამოყენებული FIATA-ს დოკუმენტების, საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციების შესაბამისი ცოდნა-გააზრება და გამოყენება; • გადაზიდვების ფასისა და თვითღირებულების დადგენა, სატრანსპორტო ხარჯების გაანგარიშება, დროის და მანძილის კოეფიციენტის განსაზღვრა, ლოდინის დროს გამოთვლა, ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებში; • დატვირთვა-გადმოტვირთვის შესაფერისი ტვირთამწეობისა და კონსტრუქციის ტვირთამწევი მანქანების და მექანიზმების შერჩევა და დატვირთვა-გადმოტვირთვის მანქანა-დანადგარებისა და პუნქტების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, აწე-სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება; • ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვების დაგეგმვა, პროცესის მართვა და კონტროლი, მოდელირების პოზიციონირება და იმიტაციური მოდელირება; • სატრანსპორტო საქმიანობის გარემოსათვის უვნებლად წარმართვა (ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის და ვიბრაციის ატმსფეროზე ზემოქმედების შემცირების უზრუნველყოფა, საზღვაო გადაზიდვისას გარემოს დაზიანებულების პრევენცია და დაზიანებულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურები- გარემოს დაცვითი პროცედურების განხორციელება საერთაშორისო მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად, ზღვის დაზიანებულების პრევენციის ძირითადი მოთხოვნების გამოყენება); • სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების ექსპლუატაციის პროცესში უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფა (უსაფრთხოების წესების დაცვა, ტრანსპორტზე უსაფრთხოების სიტუაციების მართვა, შრომის დაცვის ზედამხედველობა და უზრუნველყოფა, უსაფრთხოების

	<p>ტექნიკის ზოგადი დებულებებით სარგებლობა და პრაქტიკაში გამოყენება);</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროსთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი მასალის წაკითხვა, გაგება-გააზრება, ინტერპრეტირება, არგუმენტების მოყვანა; • ფუნდამენტურ, საინჟინრო, სოციალური, საკომუნიკაციო, სხვ. მიმართულებით მიღებული ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის შედეგად დასმული ამოცანის შესაბამისი მათემატიკური აპარატის და რელევანტური კომპიუტერული პროგრამის შერჩევა-გამოყენება, სხვადასხვა სირთულის ნახაზების, სქემების, გრაფიკების და სხვ. აგება, ახსნა და გამოყენება, გადაზიდვების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება, ძირითადი ეკონომიკური პრინციპებისა და კანონების პრაქტიკაში გამოყენება, ზაზრის სემინტარება და მიზნობრივი სემინტარების შერჩევა, კონკურენტუნარიანობის შეფასება, მარკეტინგული კომუნიკაციების შემუშავება; ბიზნესის ორგანიზება, მართვა, შეფასება და რისკების იდენტიფიცირება; სატრანსპორტო გადაზიდვებისას ტვირთებისა და თვით ტრანსპორტის დაზღვევის ფაქტორების განსაზღვრა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაციის დამყარება, ინდივიდუალური ქცევის, გუნდური მუშაობის, ორგანიზაციული კულტურის ფორმირების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსური საკითხების ცოდნის საფუძველზე სამუშაო გარემოში ჩამოყალიბებული ურთიერთობის, ადამიანთა ქცევაზე ინდივიდუალური მოტივაციის გაგენის, პიროვნული თვისებებისა და ქმედებების ადეკვატური შეფასება და რაციონალური ქმედების შერჩევა, განსხვავებების და მსგავსების დანახვა და სხვისი აზრის გათვალისწინებით საერთო აზრის ფორმირება პრობლემის გადაჭრის და კონფლიქტების მოგვარების მიზნით.
<p>დასკვნის უნარი <i>სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</i></p>	<p><i>კურსდამთავრებულს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • გადაზიდვების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის ანალიზი, ინფორმაციის და მონაცემების შეგროვება და ინტერპრეტირება, სავარაუდო რისკის და გარემო ზემოქმედების შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით; • ტვირთის შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება, ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის, დასაწყობების დროს წამოჭრილი პრობლემის ანალიზი და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადასაჭრელად; • პრაქტიკაში არსებული გაფორმების პროცედურების ანალიზი, იმპორტის გადასახადების გაანგარიშებების შეფასება, დეკლარაციების შევსების და სასაქონლო ოპერაციების არჩევის მიმართულებით გადაწყვეტილებების მიღება; • სარკინიგზო სადგურის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა და სადგურის მუშაობის აღრიცხვა და ანალიზი; • სარკინიგზო გადაზიდვების დროს პრეტენზიების და სარჩელების წარმოშობისას კონკრეტული პრაქტიკული პრობლემის სპეციფიკის და თავისებურების გათვალისწინება, გამომწვევი ფაქტორების დადგენა, დახასიათება და მათი მნიშვნელობის სწორი შეფასება, მიმდინარე პროცესების და სიტუაციების შესწავლა-ანალიზი, ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება-დამუშავება, შეფასება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით, მიზეზებისა და შედეგების შეფასება, მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება, მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება, შესაძლო რისკების განსაზღვრა, შეფასება და ახსნა, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების შერჩევა, არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადასაჭრელად; • საჰაერო გადაზიდვების დროს წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება, შეფასება; • საზღვაო ნავსადგურებში წარმოებული სატვირთო ოპერაციების ანალიზი, სხვადასხვა სახის ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის პროცესების შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება, დასკვნის ჩამოყალიბება და დასაბუთება; • კომერციული მენეჯმენტის ორგანიზების მიზნით მონაცემების, ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვება-ანალიზი, განმარტება; კონტრაქტის/ხელშეკრულების შეფასება და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ტვირთის რაოდენობის განსაზღვრის, სტალიის გათვალისწინებით, შემოსავლის განსაზღვრასთან, რენტაბელობის გაანგარიშებასთან, ტაიმჩარტერული ეკვივალენტის გათვლებთან დაკავშირებული მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით დამუშავება-ანალიზი, შედეგების შეფასება და რისის დროის გათვლების გაანგარიშება, სტალიის დროს გათვლა ჩარტერის მიხედვით, გემის მარაგის გამოთვლა, სარეისო რეზერვის გათვლა, მიღებული მონაცემების ანალიზი და დასკვნის ჩამოყალიბება ნავსადგურის არჩევისათვის ბუნკერებისთვის ხარჯის შესამცირებლად; • ტრანსპორტის ეკონომიკური წარმოების პოტენციალზე მონაცემების შეგროვება და განმარტება, გადაზიდვების მოგებასა და რენტაბელობაზე, ფინანსური რესურსების დაგეგმვა და ეფექტიანობის შეფასება; • საგარეო-ეკონომიკური კონტრაქტების დადებისას საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერაციების ანალიზი, კონკრეტულ საკითხთან და პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, ტვირთების ექსპედიერების პროცესში წამოჭრილ საკითხებზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

	<ul style="list-style-type: none"> ქალაქის მოსახლეობის გადაადგილების პროგნოზირება და მგზავრთნაკადების განაწილება სატრანსპორტო ქსელის მიხედვით. მუნიციპალური ტრანსპორტის ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობისას წარმოქმნილი პრობლემებისას დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება; სატრანსპორტო კვანძებსა და დერეფნებში ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვების დროს ტრანსპორტის სახეობის შერჩევას არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება; გარემოსთვის ტრანსპორტისაგან მოსალოდნელი ეკოლოგიური ზიანის თავიდან აცილებისათვის სიტუაციის შესწავლა-ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება, დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება. საგანგებო, ავარიულ სიტუაციებში გარემოს ზემოქმედების ფაქტორების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირება, არსებული და შესაძლო რისკის განსაზღვრა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, დასკვნების ჩამოყალიბება და დასაბუთება; შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული მონაცემების და ინფორმაციის ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება შესრულებული სამუშაოს ანალიზის და დასკვნის დასაბუთება.
<p>კომუნიკაციის უნარი <i>იდებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება</i></p>	<p><i>კურსდამთავრებულს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> წერითი და ზეპირი კომუნიკაცია: წერილობით და ზეპირად ინფორმაციის მიღება და გადაცემა, პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება და წარდგენა, წერასა და ზეპირმეტყველებაში ინგლისური ენის (B2 დონის შესაბამისი), რუსული ენის (A2 დონის შესაბამისი) და თურქული ენის (A2 დონის შესაბამისი) გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციების სწორი გამოყენება და ინგლისურ ენაზე ენის მატარებელთან საუბრის წარმართვა ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის საკითხებზე დამოუკიდებლად საუბარი, კითხვა, სხვადასხვა თემებზე თავისი აზრისა და შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება. დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემაზე დაწერილი ტექსტების კითხვა, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება ქართულ და ინგლისურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება: კომპიუტერული პროგრამების და სისტემების გამოყენება, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით გრაფიკული გამოსახულებების აგება და საინჟინრო პროექტების გრაფიკული უზრუნველყოფა, ინფორმაციის დამუშავება, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება და სხვ. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, მონაცემთა დაცვა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის გადაწყვეტის, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის, ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის და კომუნიკაციის მიზნით.
<p>სწავლის უნარი <i>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</i></p>	<p><i>კურსდამთავრებულს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> ბაკალავრიატში მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება. კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსების (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი და სპეციალური ლიტერატურის და სხვ.) გამოყენება, უცხო საკითხების მინიმალური დახმარებით დამუშავება; პროფესიულ საქმიანობაში ინოვაციების გათვალისწინების, უწყვეტი განათლებისა და თვითგანვითარების აუცილებლობის გაცნობიერება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
<p>ღირებულებები <i>ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასაშვადრებლად სწრაფვა.</i></p>	<p><i>კურსდამთავრებულს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> ტრანსპორტის სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი, პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა.

სტუდენტის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, მათი შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე ფორმამი დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს (წილადის სახით მიღებული ქულა მთელ რიცვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას.

სტუდენტის შეფასების ზოგადი წესი

პროგრამის კომპონენტები	max 100 ქულა	შეფასების ფორმები
სასწავლო კომპონენტები: სასწავლო კურსები პრაქტიკა (საწარმოო, სასწავლო-საცურაო) საბაკალავრო ნაშრომი	100	60 შუალედური შეფასება
		40 დასკვნითი შეფასება

შეფასებები			max 100 ქულა
დადებითი შეფასებები			
1	ფრიადი	A	91 ქულა და მეტი
2	ძალიან კარგი	B	81-90 ქულა
3	კარგი	C	71-80 ქულა
4	დამაკმაყოფილებელი	D	61-70 ქულა
5	საკმარისი	E	51-60 ქულა
უარყოფითი შეფასებები			
1	ვერ ჩააბარა	FX	41-50 ქულა
2	ჩაიჭრა	F	40 და ნაკლები ქულა

Fx შეფასება ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; Fx შეფასების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში ფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

1. ბნსუ-ს საკუთრებაში არსებული ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, მათ შორის:
 - აუდიტორები, კომპიუტერული კლასები, ლინგოფონის, ლოჯისტიკის და სხვ. კაბინეტები; ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიები;
 - ბიბლიოთეკის წიგნადი (ბეჭდური და ელ. მატარებლებზე) ფონდი, ბიბლიოთეკის ვიდეო- და აუდიო- ფონდები, თვალსაჩინოები, საერთაშორისო Witherbys Library ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა).
2. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს სტუდენტები გადიან შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“, BATOS SHIPPING LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია), INFLOT BATUMI LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია), TERO MARITIME AGENCY LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია), შპს „კარგო ტრანს გრუპი“, შპს „ჯეო ტრანს გრუპი“ (საექსპედიციო გადამზიდავი კომპანია), შპს „ბათუმის რეილ გრუპი“ (საექსპედიციო გადამზიდავი კომპანია), შპს „ემ ერ ჯი ლიმიტედ“, შპს „ინტერლოგჯორგია“ (საექსპედიციო გადამზიდავი კომპანია), შპს MGL GEORGIA (სატრანსპორტო- ლოჯისტიკური კომპანია). რომელთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები.